№ 18 იანვარი 25, ოთხშაბათი 1889 იანვარი 25, ოთხშაბათი № 18


გაზეთი ღირს

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური


# ივერია


გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას ფრეილინის ქუჩა, ბასტამოვის სახლი, № 5, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1889 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1889


## „ივერია“

გამოვა 1889 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1889 წლისათვის, მიჰმართოს:

**ტფილისში:** ა) თვითონ რედაქციას, ფრეილინის ქუჩა, სახლი ბასტამოვისა, № 5; ბ) „წერა-კითხვის საზოგადოების“ კანცელარიას (სასახლის ქუჩა, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეაში).

**ქუთაისში:** ვარლამ ჭილაძის წიგნის მაღაზიას.

**ხონში:** ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზიას.

**ბათუმში:** მ. ნათაძეს.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

**Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.**

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

---

ხუთშაბათს, 26 იანვარს, საღამოს 7½ საათზე დანიშნულია კრება კავკასიის სამეურნეო საზოგადოებისა.

საგანი განხილვისა:

1) მიმომდინარე საქმენი.

2) მოხსენება კომისიისა იმის გამო, თუ რა ღონის-ძიება უნდა იყოს მიღებული ვაზის ავადმყოფობის წინაალმდეგ, მილდიუსა და ნაცარის მოსასპობლად.

3) მოხსენება ნამდვილის წევრის ტარუმოვისა: სხვა-და სხვა გვარი ფუტკარი; ჩვენებურის ფუტკრის უკეთესობა სხვათა ჯიშის წინაშე; საჭიროა თუ არა გონივრული წესი ფუტკრის მოვლის კავკასიაში.

არა-წევრთაც ნება აქვთ დაესწრონ კრებაზე. (2—2)

---

ქართული თეატრი

კვირას, 29 იანვარს

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება:

I

პირველად ახალი პიესა

**ახალი დროების გმირი**

კომ. 2 მოქმ. დავით ხოხლაჩისა

II

**დავიდარაბა**

კომ. 3 მოქ., გადმ. თ. დ. ერისთავის მიერ.

**მოთამაშენი:** ქ-ნი საფაროვისა, გაბუნია-ცაგარლისა, მელიქიშვილისა და სხვ., ბ-ნი აბაშიძე, ყიფიანი, აწყურელი, გამყრელიძე, დიღმელი და გუნია.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

დასაწყისი 7½ საათზე.

---

ტფილისი, 24 იანვარი

ერთ-ერთს წერილში, რომელშიაც განმარტებული იყო, თუ რა არის სიმდიდრე ერისა, მოხსენებული იყო ინგლისის მაგალითი იმის დასამტკიცებლად, რომ სიმდიდრე ერისა არის ცოტად თუ ბევრად გათანასწორებული მაძღრობა ყველასი და არა ასში და ათასში ერთის ოქროში ჯდომა. წერილში ნაჩვენები იყო, რომ ყოველისფრით დაწინაურებულს ქვეყანაში, როგორც ინგლისია, ყოველ წლობით რამდენიმე ათი ათასი კაცი კვდება შიმშილითა და სიღარიბე, სიღატაკე იმ ზომამდე ძლიერია, რომ მშობელი საკუთარის კბილით სჭამს საკუთარს სისხლ-ხორცსა, თავისს შვილს მხოლოდ იმიტომ, რომ შიმშილით სიკვდილი აიცილოს და რამდენისამე დღით მაინც კუჭი გაიძღოსო. ამ უკიდურესს სიღარიბის გვერდით იმავე ინგლისში მცირედი ნაწილი ერისა ყელამდე ოქროსა და ვერცხლში ჰზის და სტკბება ყოველისფრით, რაიცა თანამედროვე სწავლა-განათლებას, ხელოვნებასა, ვაჭრობასა და მრეწველობას დაუმუშავებია და დაუმკვიდრებია კაცთათვის. ამ სახით თვითერი თითქო იმიტომ იღწვის, ცრემლსა და სისხლსა ჰღვრის, რომ თავისი ცრემლი, სისხლი ოქრო-ვერცხლად და ფას-დაუდებელ მარგალიტად აქციოს, რამდენსამე კაცს დაუთმოს და ამითი სრული ბედნიერება დაუმკვიდროს.

ეგეთი შეუწუნარებელი ყოფა ხვედრია ინგლისისა, რომელსაც თავი მოაქვს თავისის სიმდიდრით, სწავლა-განათლებით, იმ ქვეყნისა, რომელიც კაცობრიობის ცხოვრების სათავეში სდგას და მსოფლიოს ჰბრძანებლობს.

ამ ზღვათა მეფე ქვეყანას, რომელსაც ხელთ უპყრია მსოფლიო ვაჭრობა და მრეწველობა, საცა სწავლა-განათლება და ხელოვნება უმაღლესს წერტილამდე არის მიღწეული, ერისათვის მაძღრობა ვერ დაუმკვიდრებია და ამიტომ ერი მუდამ დღე იყლიტება შიმშილისა და სიკვდილისაგან.

იქნება ზოგმა მკითხველმა იკითხოს, რა არის იმისი მიზეზი, რომ სწავლა-განათლებითა და ხელოვნებით დაწინაურებულს ქვეყანაში ერი სიღარიბისაგან იყლიტებაო. იქნება იკითხოს, რა არის იმისი მიზეზი, რომ ძლევა-მოსილს მეცნიერებას ერისათვის ცოტად თუ ბევრად გათანასწორებული მაძღრობა ვერ მიუნიჭებიაო. დიაღ, იქნება მკითხველმა ეს იკითხოს და საკითხავიც არის. იქნება ზოგმა ისიც იკითხოს, თუ რის მაქნისია სწავლა-განათლება, ვაჭრობა, მრეწველობა, თუ რომ დაწინაურებულს ქვეყანაშიაც თავისს კალთას ქვეშ ერი ვერ შეუფარებიაო.

ადამიანთა ყოფა-ცხოვრება მეტად რთული რამ არის და იგი დამოკიდებულია მრავალს მიზეზზედ, რომელიც დღიდგან დღემდე, საუკუნიდგან საუკუნემდე იქნება და ცხოვრება ისეთი რამ არის, რომ ზოგჯერ კაცთ-მოყვარეობას არ ეკითხება და არც ადამიანის გონება არის იმდენად სრული და ძლიერი, რომ კაცს ერთბაშად ბედნიერება და სიტკბოებით სავსე ცხოვრება მიანიჭოს. ხოლო ის-კი აშკარაა, რომ კაცი ბედნიერებას ეძებს და ამის მოსაპოვებლად გონებასა და სწავლა-მეცნიერებას იშველიებს.

ამიტომაც არის, რომ ინგლისსა და მთელს ევროპაშიაც მეცნიერება და მწერლობა სცდილობს კაცობრიობას ცრემლი შეაშროს და ბედნიერება დაუმკვიდროს. მეცნიერებას ს გნად ისა აქვს, რომ ისტორიის ცოდვა-ბრალი ჯანაშაულობა

---

## ფელეტონი

### მშობლის სურვილი

(ნათარგმნი)

(შემდეგი*)

პავლე დაჰმორჩილდა მამის სურვილს და იმისავე ხელმძღვანელობით შეუდგა სოფლის საქმეს. დღეს იმის ცდა მხოლოდ წარსულის ოცნება-აზრების მივიწყება და ახალი ცხოვრების შეჩვევა და იყო. როცა ადამიანი რაიმე დიდ - ავადმყოფობიდამ განთავისუფლდება, შიშითა და კრძალვით ეკიდება იმას, რასაც-კი შეუძლიან მოაგონოს ავადმყოფობა..., მხოლოდ თანდათან ეჩვევა ახლად მორჩენილი ყველაფერს და იწყებს ჩვეულებრივ ცხოვრებას. ჩვენის გმირის ყოფაც პირველ ხანში სწორედ ამ გვარი იყო... პავლე თანდათან შეეჩვია ახალს ცხოვრებას, ერთგულად მოეკიდა შინ და გარეთ საქმეს და სცდილობდა ყველაფერში მამის მაგიერობა გაეწია. როგორც განკა, მისის აზრით, თანდათან უფრო უკეთესდებოდა, აგრეთვე თვით სოფელი და მისი საქმეც საუცხოოდ ეჩვენა პავლეს. ასე კეთილად გადასდგა პირველი ნაბიჯი ახალს ცხოვრებაში, მაგრამ, საუბედუროდ, ასეთმა ცხოვრებამ ხანგრძლივ არ გასტანა. ერთხელ საღამოთი პავლე ისის იყო სათიბიდამ დაბრუნებული ორთითით მხარზე შემოვიდა თავისს ეზოში და სახლის კართან შენიშნა ეტლი. ეტლში ორი ახალგაზდა კაცი იჯდა. პავლემ იცნო ამხანაგები, ეტლში მჯდომთაც იცნეს პავლე და სიცილ-ხარხარით მიეგებნენ თავიანთ ამხანაგს. მისალმების უმალ ერთმა ამხანაგმა, ადამმა ჰკითხა პავლეს:

— უეჭველია არ გველოდი! ვინ იცის, რა არ დაგვწამე და იფიქრე კიდეც, რომ ჩვენ აღთქმას არა ვასრულებდით.

— სწორედ, რომ არ გელოდდით, უპასუხა პავლემ.

— იქნება შენა გგონია, რომ მარტო მე და ედვარდი მოვედით? ვერ მოგართვი! დედაჩემი და ჩემი დებიც აქ არიან!

— მერე ისინი სადღა არიან?

— ეხლა ისინი ზაკოპანში იქნებიან! ჩვენ წინ წამოვედით შენ წასაყვანად. მართლა, კინაღამ არ დამავიწყდა, ეხლა რას აკეთებ, როგორ ატარებ დროს?

— ეგ რა საკითხავია, ჩაერია აქამდე ჩუმად მდგომი ედვარდი... ვერა ჰხედავ ტანისამოსს! ჩვენი პავლე, როგორცა სჩანს, ზღაპრულ გმირობას აპირებს. პავლეს საშინლად ეწყინა ედვარდის შენიშვნა და, რომ არ შეამჩნიონ ამხანაგებმაო, დაუწყო ქალაქის ამბების კითხვა. ლაპარაკით მასპინძელმა შეიწვია სტუმრები სახლში.

— აქა სცხოვრებ პავლე? წამოიძახა ოთახში შესვლისათანავე ადამმა.

— რა მყუდროებაა! რა მშვენიერებაა!

პავლე მეორე ოთახში გავიდა და უთხრა განკას, ვახშმის მზადებას შეუდექიო.

— სწორედ გაუგებარია ჩემთვის, დაიწყო ედვარდმა, პავლეს გასვლისათანავე, რასა ჰხედავ აქ გასაკვირსა და საოცარს? ქვა-წყალი და ხევები ხომ ყველგან არის! რაც გინდა სთქვი, და მე აქაურს მთა-ღრეებს ვერ ვამჯობინებ ჩვენს ქალაქს.

— რაებს ამბობ, ედვარდ! ნუ თუ არ მოგეწონა უზარმაზარი მთები, რომლის წვერიდამაც სჩანს დაუსრულებელი სივრცე დედამიწისა.. მთები და თვით მისი ბუნებაა მიზეზი, რომ მისნი მცხოვრებნი შეჰურვილნი არიან გასაოცარის ძალ-ღონითა და მტკიცე ხასიათით. შეჰხედე მთიელს: იგი სრულიად არა ჰგავს მინდვრის კაცს, რომლის თვისებაც ფლიდობა და უხასიათობაა... არა, მთიული გამბედავი და ამაყია.

— და იმიტომ მოგწონს მთიული? რაც გინდა სთქვი და მე მომწონს გლეხი, როცა იგი ჩემ წინ თავს იხრის და არ ამაყობს...

ამ დროს ოთახში შემოვიდა განკა. განკამ სუფრა გაშალა და ვახშამი მიართვა სტუმრებს. ედვარდმა განკას დანახვაზე შესწყვიტა ლაპარაკი და გაექანა მისკენ გადასახვევნად, მაგრამ განკას თან შემოჰყვა პავლე და იმან შეაყენა ედვარდი.

— ეს ჩემი ნათესავია, ჩემო მეგობრებო. ასე გააცნო პავლემ განკა ამხანაგებს. მოხუცი სახლის პატრონიც მალე დაბრუნდა სახლში. ამ ჰპლარამა და გონიერად მეტყველის სახის კაცმა დაატყვევა ახალგაზდა სტუმრები, თვით ედვარდიც მის დანახვისათანავე წამოვარდა ზეზე და მდაბლად მისცა სალამი. საუბარის დროს ხომ სტუმრები საშინლად გააოცა მოხუცის ცოდნა-განვითარებამ. სტუმრები გულმოდგინედ უგდებდნენ ყურს მოხუცს და ვერ მოეაზრათ, თუ რამ აიძულა ეს ყოვლად პატიოსანი და გონება-წარმატებული კაცი, რომ თავისს სწავლა-ცოდნას აქ მთებში, მიყრუებულს ალაგსა ჰმარხავსო. კარგა ხნის შემდეგ მოხუცმა ჰკითხა ადამს, თუ რა გზა ამოირჩიე სწავლის გასაგრძელებლადაო. მიიღო მისგან პასუხი და უთხრა:

— ძალიან კარგად გიფიქრია... მცირე რამ მიზეზი რომ არ იყოს, პავლესაც-კი ვურჩევდი შენი გზა ამოერჩია.

— განა პავლეს უნივერსიტეტში არა ჰგზავნით? მერე რა მიზეზია?

— მიზეზი პატივ-სადებია და პავლე აქ ჩემთან უნდა დარჩეს! პავლე უბრალო მთიულია და დეე მშობელმა სოფელმა გამოიყენოს მისი სწავლა-ცოდნა.

— თქვენ, სჩანს, ხალხის წოდებათა დაყოფის მომხრე ყოფილხართ,— შენიშნა ედვარდმა... მოხუცმა ისე გადაჰხედა ედვარდს, თითქო ეხლა შენიშნაო:

— ხალხის წოდებათა დაყოფას სრულიადაც არ თანავუგრძნობ; არა, იგი ყოვლად უსამართლო და თვით ღვთის წინააღმდეგია. ამისდა მიუხედავად უნდა გახსოვდეთ, ყმაწვილებო, რომ ჩვენი მხარე მეტად ჰსაჭიროებს განათლებულს კაცს. ყველა გარბის სოფლიდამ მაშინ, როდესაც გლეხთათვის უფრო საჭიროა განათლებულის კაცის რჩევა-დარიგება... კეთილისა და წმინდის პატიოსნებით მომქმედი განათლებული კაცი სოფელში უდრის მოციქულს.

ადამი მიჰხვდა, თუ რა მიზეზითაც სტოვებდა მოხუცი პავლეს სოფლად.

—თქვენ მართალს ამბობთ, უპასუხა ადამმა: მაგ ყოვლად მშვენიერ საგანს უნდა შესწიროს ადამიანმა მომავალი ბრწყინვალე და ხშირად მაცდური ბედი ქალაქში ცხოვრებისა... მერე ამ მშვენიერ მთა-ტყე-მინდორში ყოვლად შეუძლებელია ადამიანმა მოიწყინოს.

— თქვენ აქ დასასვენებლად ხართ მოსულნი და ამიტომ ყველაფერი მშვენიერებად გეჩვენებათ. ჩვენ ამ მშვენიერებით აღტაცება არ შეგვშვენის... ჩვენ რომ აქ ბუნების სიკეკლუცეს მოვეხიბლნეთ, მაშინ შემოდგომა-ზამთარში ხომ უნდა გავიქცეთ აქედამ.. არა, პავლეს ადგილ-მდებარეობა-კი არ იჭერს აქ, სამშობლოს სიყვარული და მოვალეობა უნდა ჰქონდეს სახეში და ამ სიყვარულმა უნდა გააძლებინოს თუ უნდა რომ იმისი საქმე მკვიდრი და შეურყეველი იყოს.

ამ ლაპარაკში ათჯერ დაჰკრა კედლის საათმა. მოხუცმა დაანება ახალგაზდათ თავი და გავიდა დასაძინებლად. ყმაწვილები გამოვიდენ გარეთ. საღამო მეტად მშვიდი და წყნარი იყო. ღამის გუშაგი ის-ის იყო ამოცურდა მთის მწვერვალიდამ და თავისი სხივებით ერთი-ორად გააკეკლუცა ისედაც კეკლუცი ბუნება.

— ღმერთო ჩემო, რა ჰაერია! რა მდინარე და მთებია! წამოიძახა ადამმა.

— ხალხი უკეთესია, უპასუხა პავ-

---

*) იხ. „ივერია“ № 24.

შეისყიდოს და იმისი გზა-კვალი შეასწოროს. მაგალითად, თავი და თავი მიზეზი ინგლისის დღევანდელის ყოფისა ის არის, რომ ისტორიამ სხვა-და-სხვა მიზეზის გამო ერს ხელიდგან მიწა გამოაცალა და მეცნიერება ეხლა იმასა სცდილობს, ერს მიწა დაუბრუნოს, რადგანაც აშკარაა, რომ საცა ერი მიწის პატრონია და სწავლა-ცოდნასა და ხელოვნებას მიიშველიებს, იქ ერი ბედნიერებასაც დაიმკვიდრებს და ადგილი არ ექნება არც ათასში ერთისა და ორის ოქროში ჯდომას და არც ერის სიღარიბესა.

ა. ნა—ლი

## ახალი ამბავი

*** გრაფ ლორის-მელიქოვის ცხედარს ამ დღეებში მოასვენებენ, მაგრამ დასაფლავება-კი ჯერ-ჯერობით გადადებულია. დეპუტაციები, გრაფის დასაფლავებაზე დასასწრებლად დანიშნულნი, უკვე შეგროვდნენ ტფილისში სხვა-და-სხვა ქალაქებიდამ, მაგრამ რადგან დასაფლავება დაგვიანდება, დროებით უკანვე დაბრუნებას აპირობენ. ბაქოდამ ჩამოსული დეპუტაცია 23 იანვარს ქალაქმა პატივის-საცემლად საბჭოს კრებაზე მიიწვია დასასწრებლად.

*** 23 იანვარს ქალაქის საბჭომ განიხილა შვიდი საქმე. ამათში თითქმის არც ერთი არ იყო მაგდენად ყურადღების ღირსი. ცოტაოდენი ლაპარაკი გამოიწვია სამოსწავლო კომიტეტის მოხსენებამ შესახებ იმისა, რომ ცალკე რვეული შეადგინონ და შიგ ჩასწერონ გვარი ყველასი, ვინცა-კი რასმეს შესწირავს სახელოსნო და საქალაქო სკოლების სასარგებლოდ. ქალაქის გამგეობის აზრი იყო გაეკეთებინათ მარმარილოს ფიცარი და ზედ ამოეჭრათ ყველას გვარი, ვინცა-კი რასმეს შესწირავს, გინდაც რომ ეს შესაწირავი ძალიან მცირე იყოსო. საბჭომ დაადგინა, რომ მარმარილოს ფიცარზე დაიწეროს სახელი მხოლოდ იმათი, ვინც რომ შესწირავს ორმოცდა-ათ მანეთ ზევით და ვინც ამაზე ნაკლებს შესწირავს, ის ჩაიწეროს ცალკე დავთარშიო. ამასთანავე საბჭომ დაადგინა მადლობა გამოუცხადოს ბ-ნს ა. გ. იუზბაშევს, რომელმაც 500 მანათი შესწირა სასარგებლოდ საქალაქო სკოლების ღარიბ შეგირდებისა. ბ-ნმა ი. მ. თამამშოვმა ჰკითხა ბ-ნს თავ-მჯდომარეს შესახებ იმ ასის თუმნისა, რომელიც შესწირა სკოლებს განსვენებულმა კნეინა თუმანოვისამ. ამის თაობაზე ბ-ნმა თავ-მჯდომარემ სთქვა, რომ რამდენჯერმე მოვთხოვეთ ეს ფული და არ გადმოგვცეს მემკვიდრეებმაო. ამ მოკლე ხანში კიდევ მოვთხოვთ და თუ უარი გვითხრეს, სამართალს მივმართავთო.

აგრეთვე ლაპარაკი ჩამოვარდა იმაზე, თუ როგორ განიხილონ ხარჯთ-აღრიცხვა ამ წლისა, წაიკითხონ ყოველი მუხლი ხარჯისა ცალკე, თუ მხოლოდ ის ადგილები, რომელიც შეეხება ან ახალს, ან საკამათო ხარჯს. თავმჯდომარემ სთხოვა ხმოსნებს, რომ შემდეგისათვის ყველამ სახლში წაიკითხოს ბეჯითად, საეჭვო ადგილები დანიშნოს და კრებაზე ილაპარაკოს მათ შესახებ, ხოლო წაკითხულ იქმნას მარტო ის ადგილები ხარჯთ-აღრიცხვისა, რომელიც არც შარშან და არც უწინ არა ყოფილა საკმარისად გამორკვეული. საბჭომ მიიღო წინადადება ბ-ნის თავმჯდომარისა.

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ ხმოსანს ქალაქის საბჭოსას, ბ-ნს კალოუბნელს, წარუდგენია ფრიად საყურადღებო სარჩიელი საბჭოსათვის შესახებ ქალაქის სანიტარულ მოწყობილობისა. ხმოსანის აზრით, საკმარისი იქნება თითო მანეთი დაედოს ხარჯი ყოველ სახლსა, რომ ტფილისი სისუფთავით არ ჩამოუვარდეს არც ერთს ევროპის ქალაქს. სისუფთავეზეა დამოკიდებული ჯანმრთელობა ჩვენის ავადმყოფის ქალაქისა და ამიტომ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ საბჭო დიდის სიამოვნებით მიიღებს ბ-ნის კალოუბნელის წინადადებას.

*** გუშინ-წინ, 23 იანვარს, ბანკის თეატრში დანიშნული იყო ბენეფისი ფორკატის დასის უკეთესის არტისტის ლიუდვიგოვისა. ითამაშეს „დამნაშავეს ოჯახი“, დრამა ჯიაკომეტისა, და „სათნოებამ გაიმარჯვა!“ ვოდევილი 3 მოქმედებად. საზოგადოება ბლომად დაესწრო წარმოდგენას. თეატრი თითქმის სავსე იყო.

*** თავ. პ. ნაკაშიძე, რომელიც შარშან ქუთაისის თავად-აზნაურობამ გუბერნიის მარშლად აირჩია, მთავრობას არ დაუმტკიცებია ამ თანამდებობაზე. ამისი მიზეზი ის არის, რომ თავ. ნაკაშიძე სენატის გადაწყვეტილების ძალით სამართალში უნდა მისცენ იმ შეტაკებისათვის, რომელიც მაზრის მთავრობასთან მოსვლია. ამიტომ მეორე არჩევანი უნდა დაინიშნოს მარშლის ასარჩევად. მანამდე-კი გუბერნიის მარშლის თანამდებობას ასრულებს ქუთაისის მაზრის მარშალი თავ. კ. წულუკიძე.

*** შარშანდელის წლის დამლევს, დეკემბრის თვეში ერთი სამწუხარო ამბავი მოხდა ეცრის საზოგადოებაში: მოჰკლეს დიაკვანი გ. არღვლიანი. ამ არღვლიანის და დანიშნული ჰყვანდა თურმე იმისავე მეზობელს. ქალს საქმრო არ უყვარდა და ჯვარის დაწერა არ ისურვა. ეს ამბავი ძალიან იწყინა საქმრომ და იმისმა ნათესავებმა: უთუოდ ძმამ ჩააგონა თავისს დას ეს საქმეო. ამას გარდა, საქმროსა და იმის ნათესავებს სხვა ძველი ანგარიშიცა ჰქონიათ დიაკვნის ოჯახთან: ოდესმე ამ გვარში კაცის კვლა მომხდარიყო და აი ამ ძველს უსიამოვნებას ეს ახალიც ზედ დაერთო. ერთს დღეს წამოსულა საქმროს ბიძაშვილი და საცოდავს დიაკვანზე უყრია ჯავრი. მკვლელი დაიჭირეს და ქუთაისში გაჰგზავნეს.

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ ბ-ნი ვ. რ. ყიფიანი, რომელიც „ქართველთა შორის წერა-კითხვის საზოგადოებამ“ გაამწესა ქუთაისის სათავად-აზნაურო სკოლის ინსპექტორად, ბ-ნს სამოსწავლო ოლქის მზრუნველს უკვე დაუმტკიცებია ამ თანამდებობაზე.

*** ჩვენ ნამდვილად შევიტყეთ, რომ ბ-ნს ი. მეუნარგის შეუდგენია ჩვენის პოეტის ნ. ბარათაშვილის ბიოგრაფია, რომელსაც ბ-ნი მეუნარგია დიდ-მარხვაში ტფილისში საჯაროდ წაიკითხავს.

*** **ქუთაისსი:** აქ, კვირა დღეს, 23 ამ თთვისას დრამატიულმა დასმა წარმოადგინა ქ-ნ ე. მესხის საბენეფისოდ ქართულად ა. დიუმას პიესა, ფრანგულიდგან ჩინებულად ნათარგმნი ბ-ნ ნ. ბადრიძის მიერ. წარმოდგენამ კარგად ჩაიარა. მოთამაშეთ საკმაო ხელოვნება და მეცადინეობა გამოიჩინეს.

*** **ბათუმი:** ამ დღეებში რკინის გზაზე შემდეგი უბედურება მოჰხდა: დილის შვიდს საათზე ორი მატარებელი ერთმანეთს დაეჯახა. ერთი, 12 ვაგონით, ზღვის ნაპირიდგან მოდიოდა ქვიშით დატვირთული და მეორე სადგურში მიდიოდა, 13-ის ვაგონით. ვაგონები საშინლად დაილეწა. ამ ერთის კვირის წინად აქ ამ გვარივე უბედურება მოჰხდა და კინაღამ დიდ-ძალი ხალხი არ იმსხვერპლა.

*** „კავკაზს“ სწერენ სიღნაღიდამ, რომ 19 იანვარს წმ. ნინოს მონასტერში თავი ჩამოირჩო თავის სენაკში იგუმენმა ნიკოლოზმაო. თავის მოკვლის მიზეზი ჯერ არავინ იცისო. მამა ნიკოლოზი დიდად უყვარდა ახლო-მახლო სოფლების ხალხს და დიდს პატივსაცა სცემდაო.

## „ლინთურალ“-ი

სიტყვა „ლინთურალ“-ი ქართულად ჰნიშნავს ნაცნობობას, გაცნობას. ეს ნაცნობობა, შემდეგ ჩვეულებრივის ცერემონიის აღსრულებისა, ორსა ან რამდენსამე კაცს შუა ამყარებს სულიერს ნათესაურს დამოკიდებულებას. ლინთურალი მოხდება როგორც კაცსა და კაცს შუა, ისე დედაკაცებში, მაგრამ უფრო ხშირად-კი ახალგაზდა ქალსა და ვაჟს შორის. რაში მდგომარეობს ცერემონია ლინთურალისა? ვსთქვათ, ახალგაზდა ვაჟს უნდა დაუახლოვდეს ახალგაზდასავე ქალიშვილს, ან გათხოვილს ქალს, რომელთანაც არაფერი ნათესაური კავშირი არა აქვს. ვაჟი ამ შემთხვევაში ან პირდაპირ და ან სხვისის პირით ატყობინებს ახალგაზდა ქალს, რომ მას ჰსურს ქალის გაცნობა. ქალის ნება-ყოფლობაზეა დამოკიდებული, სურს თუ არა ქალს „ლინთურალი“, თუმცა უარი ძლიერ იშვიათია, რადგანაც ეს ვაჟისათვის ცოტა არ იყოს შერცხვენაა. ქალი-

---

ლემ: ვერ წარმოიდგენ, ჩემო მეგობარო, რა კეთილშობილი, რა გულადი და შრომის მოყვარე ხალხია ჩვენი ხალხი. ამ მთა-ღრის ბრძოლაში არ-კი ამოიფხვრა ხალხი, არა, იმათის მეცადინეობით დღეს ეს ოკრო-ბოკრო ალაგი ნაყოფიერ და სასარგებლო ადგილად გადაიქცა...

პავლეს კიდევ უნდოდა ლაპარაკი, მაგრამ განკას ყვირილმა შეაწყვეტინა სიტყვა. პავლე საჩქაროდ გაექანა განკასკენ. საბძელთან მიკუნჭულიყო გაფითრებული განკა და იმის შორი-ახლო იდგა ედვარდი.

— რა იყო? ჰკითხა პავლემ განკას.

— მაგას უნდოდა... ანიშნა განკამ ედვარდზე.

— საიმისო არაფერი, ჩაერია ლაპარაკში ედვარდი: მინდოდა მხოლოდ მეკოცნა.

— სირცხვილია, ედვარდ! განა მეგობართან იმიტომ მიხვალ, რომ იმის სახლის შვილი შეურაცხჰყო?

— სოფლის გოგოს კოცნა რა შეურაცხყოფაა მერე?

— ნუ გავიწყდება, რომ შენ მთაში ხარ და არა ბარში.

— რა ძალიან ესარჩლები ვიღაც გოგოს!

— როგორ თუ გოგოს, ჩემი საცოლეა, იცი თუ არა?

— მაშ უკაცრავად! არ ვიცოდი, თორემ...

თუმცა ბოდიში მოიხადა ედვარდმა, მაინც ამითი პავლეს ამღვრეული გული ვერ დასწმინდა. ყმაწვილები გარეთ აივანზე დალაგდნენ დასაძინებლად. სტუმრებს მალე დაეძინათ, მხოლოდ პავლეს კარგა ხანს ეღვიძა კიდევ: პავლეს მოაგონდა ქალაქის ცხოვრება, თავისი აზრები და იმედები... მაგრამ ეს აზრები მალე მოიშორა თავიდამ... ეხლა ეს-კი არა, ის უწყალებდა გულს, თუ რად წამოსცდა რად წამოაყრანტალა ედვარდთან, რომ განკა ჩემი საცოლეაო! მართალია, მოსწონდა-კი პავლეს განკა, მაგრამ მისი შერთვა-კი არა ჰქონდა გადაწყვეტილი, მით უფრო, რომ არ იცოდა განკაც დასთანხმდებოდა, თუ არა... ბოლოს როგორც იყო ჩაეძინა პავლეს.

განკა? განკა იდგა მუხლ-მოდრეკილი ღვთის-მშობლის ხატის წინ და მხურვალედ ლოცულობდა. ლოცვას გულ-ამოსკვნილი ტირილი მოჰყვა... ძნელი გამოსაცნობი იყო, სიამოვნებისა თუ დარდის ცრემლი სდიოდა განკას?

მეორე დღეს ყმაწვილები გაემგზავრნენ ზაკოპნისკენ. პავლეს უნდოდა გამოეცვალა ტანსაცმელი, მაგრამ მამამ შენიშნა:

— პავლე, განა გრცხვენიან იმ ტანისამოსისა, რომელშიაც დადიოდა შენი წინაპარი? არა, შვილო, შენ ყველას ისე უნდა ეჩვენო, როგორც მთიული. პავლემ წინააღმდეგობა არ გაუწია მამას და მთიულის ტან-საცმელში წაჰყვა ამხანაგებს. მთელი გზა კოსტელეცის ხეობამდე ყმაწვილებმა მდუმარებით გაიარეს. აქ იმათ დაჰხვდნენ ადამის დედა და ორი და. ქალებმა ცნობის-მოყვარეობით დაუწყეს სინჯვა პავლეს ტანისამოსს.

— რა მშვენიერი ტანისამოსია, შენიშნა უმცროსმა ადამის დამ ელენემ. სწორედ შესცდი, ადამ, რომ აქ სამოგზაუროდ შენც ამ გვარივე ტანისამოსი არ შეიძინე.

— ქალაქის ტან-საცმელით სიარული მთებში ისევე მოუხერხებელია, როგორც ეტლით სიარული ოკრო-ბოკრო ბილიკებზე, დაუმატა მეორე ადამის დამ ვლადისლავამ.

— მეც ძალიან მადლობელი ვარ, რომ მაგ ტან-საცმელით მოხვედით, — მიუახლოვდა ვლადისლავა და უთხრა პავლეს.

— ეს ტანისამოსი ჩემი მუდმივი ტან საცმელია.

— როგორ თუ მუდმივი?

— სწორედ, ჩაერია ადამი: პავლეს უკვე გადაუწყვეტია სოფლად დარჩომა.

— მაშ ქალაქში აღარ დაჰბრუნდებით! არა, ეგ შეუძლებელია! შენიშნა ელენემ.

— მთაში ცხოვრება ირჩიეთ? — ჰკითხა პავლეს ადამის დედამ.

— დიახ! მთიულს სხვაგან არ შეჰშვენის ცხოვრება...

— ეგ კიდევ არაფერი, წარმოიდგინეთ საცოლეც-კი უშოვნია! წამოიძახა ედვარდმა.

— ედვარდმა თუ არა მოაჭორარა, ხომ ისე ვერ გასძლებს, შენიშნა ადამის დედამ.

— ღმერთს გეფიცებით, მართალს ვამბობ! აი ჰკითხეთ თითონ პავლეს.

პავლე გაჭარხლებული დაჰყურებდა დედამიწას. ადამის დედამ შეატყო პავლეს ყოფა და საჩქაროდ წამოდგა ფეხზე.

— ყმაწვილებო, ჩვენ ლაპარაკში გავერთევით და საქმე-კი გვავიწყდება. აბა, მთიულო, გაგვიძეხ წინ.

ჩვენი მგზავრები გაუდგნენ გზას კოსტელინის ხეობა ერთი უკეთესი და მშვენიერთაგანია მთელს ტატრაში... იმისმა სხვა-და-სხვაობამ ისე გაიტაცა ჩვენი მგზავრები, რომ შიგ შუა ხეობაში შეუბინდდათ. მზე უკვე კარგა ხნის ჩასული იყო, როცა ჩვენი მგზავრები დაბრუნდნენ უკან ბინისაკენ. პავლე ეხლაც ყველაზე წინ მოდიოდა. ედვარდს საშინლად გაეხარდა, რომ ვლადისლავა უკან ჩამორჩა, მიუახლოვდა, დააპირა კიდეც დალაპარაკებოდა, მაგრამ ვლადისლავა შველსავით გაუსხლტა და გაექანა წინ პავლესაკენ. აქ ამოუდგა მხარდამხარ პავლეს და ნელის ხმით ჰკითხა:

— რადა ხართ მაგრე დაღონებული?

— ეგ რაზე მკითხეთ?

— თქვენი ჩუმად ყოფნა მაკვირვებს.

— განა ჩუმად ყოფნა წამიერის ბედნიერების მომასწავებელი-კი არ არის?

— ჰო! მაგრამ... გეთაყვა, ნუ დამიმალავთ, მართლა თქვენის ნებით მოისურვეთ სოფელში ცხოვრება? განა დარწმუნებული ხარ, რომ მხოლოდ აქ შეგიძლიან მიაღწიო ბედნიერებას?

— განა ვის შეუძლიან წინადვე გამოიცნოს თავისის ბედის წერა.

— ეგ მართალია, მაგრამ მაინც მინდა ვიცოდე: სამშობლოს სიყვარული გაიძულებს აქ ცხოვრებას, თუ სხვა რაიმე მიზეზი!

პავლე ჩუმად იყო.

— თქვენ ჩუმადა ხართ... მესმის თქვენი სიჩუმე... მე კერძოდ ვერავინ დამაჯერებს, რომ თქვენ თქვენის ნებით აპირებდეთ ნიჭის ჩამარხვას სოფელში, რადგან ნიჭიერს-კი არა, ყოვლად უნიჭო და უვარგისს ყმაწვილს შეჰშვენის ეგ...

— დაუმატეთ, რომ მამის სურვილის მორჩილსაც შეჰშვენის...

— მაშ მამამ მოგიმზადათ აგრეთი ბედი? აი თურმე რა გადაჰლობებია წინ შენს აზრსა და სურვილს.

— მამაჩემს ყველაფერი ჯეროვანად აქვს მოფიქრებული!

— და თქვენც დაემორჩილენით მამის სიტყვას.

— მე მოვალე ვარ მამის მორჩილი ვიყო!

— ნუ თუ მარტო მამის სიტყვას შეუძლიან აღმოფხვრას ის აზრი და საგანი, რომელიც პატარაობიდამვე შეგიძენ-შეგითვისებიათ!

— არ მესმის, რა გინდათ სთქვათ მაგითი?

— ედვარდმა სთქვა, რომ ცოლის შერთვა განგიზრახავთ... შეიძლება...

— ბატონებო, თქვენ ძალიან დაშორდით დანარჩენებს, შეაწყვეტინა სიტყვა ვლადისლავს მოახლოვებულმა ედვარდმა... სხვა თანამოგზაურთა მოახლოვებამ დაუშალა პავლეს და დაბოლოვებით ვერ შეიტყო ვლადისლავას აზრი.

(დასასრული იქნება)

შვილი ამ ამბავს დედ-მამას ეტყვის და ან ქმარს, თუ ქმრიანია და ჰოსაც და არასაც შეატყობინებს ვაჟს. როდესაც ვაჟი მიიღებს ქალისაგან ლინთურალის თანხმობას, იგი შოულობს არაყს ერთიდამ სამს დოქამდე, სთხოვს თავისს, ან ქალის კარგს ნაცნობს, რომ წაჰყვეს ლინთურალში, ჰკიდებს მას წასაღებს არაყს და მიდის ქალის სახლში საღამოს ვახშმობამდე. ქალის ოჯახმა ეს ამბავი იცის და წინდაწინვე შეუდგებიან ვახშმის გაკეთებას, თავისის მხრით ჰშოულობენ არაყს, ჰკლავენ საკლავს და სხვა.

ვაჟი თავისის ამხანაგით მივიდა ქალის სახლში. ოჯახის წევრები კარებშივე მიეგებენ, გამოართმევს არაყი, უთხრეს რამდენიმე თავაზიანი სიტყვა და საპატიო ადგილას დასვეს. ჯალაბი ამ დროს ვახშამს ამზადებს. დამზადდა ვახშამი. ოჯახის უფროსი თავში დაჯდა, გვერდით ვაჟი მოუსვეს, მას მისი ამხანაგი და შემდეგ ჯალაბის წევრები—მამაკაცები. დადგეს ტაბაკები, რომელზედაც დააწყეს პური, ყველი, ხორცი. მოიტანეს ვაჟისაგან მოტანილი და თავისი არაყი დოქებით. ორმა კაცმა არაყი შეალოცეს ღმერთს, რომელსაც სთხოვეს ბედნიერი ყოფილიყოს ქალ-ვაჟის ლინთურალი. შემდეგ არაყი გადმოასხეს კათხებში და თითო კათხა ხელში მისცეს სტუმარ-მასპინძელს. სავსე კათხები ხელში უჭირავთ ყველას, ჭამას არავინ იწყებს. ამ დროს დგება ვაჟი (ხან ქალი), მიდის იმ ქალიშვილთან, რომელიც უნდა გაიცნოს, იჩოქებს მის წინ ერთს მუხლზე და ეუბნება: მე დაგადგა ძუძუზე კბილი, თუ შენა, ე. ი. შენ დამიდგები დედად თუ მე მამადაო. ვსთქვათ, ქალს სურს დედობა. იხსნის პერანგის ხაკინძეს და გამოაჩენს მარჯვენა ძუძუს. ვაჟი ძუძუს თავზე დანაყილს მარილს მოაყრის, შემდეგ მიუახლოვდება და დაადგამს კბილს ძუძუს წვერზე სამჯერ და სამჯერვე იტყვის „სი დი, მი გეზალ“ (შენ დედა, მე შვილი). როცა ამას მორჩება, ქალ-ვაჟი ერთმანეთს აკოცებენ, სხვები ჰლოცავენ, რომ გამარჯვებული ყოფილიყოს იმათი ნაცნობობა. ვაჟი თავის ადგილას მიდის. დაიწყება ვახშამი.

ამ დღის შემდეგ ქალ-ვაჟი ისე არიან ერთმანეთში, როგორც მკვიდრი ნათესავები. იგინი არა თუ ერთად ატარებენ დროს, ხშირად ერთადაც წვებიან. არავის ფიქრად არ მოუვა, რომ ქალ-ვაჟი, რომელთაც ლინთურალი მოახდინეს, დაარღვევენ, შეაგინებენ ამ ჩვეულებას. ასე იყო აქამდე და შემდეგში რა იქნება, ღმერთმა უწყის. მეორე დღეს ვაჟი სახლში მიდის, რომელსაც ქალმა უნდა აჩუქოს ცხვარი იქნება, ძროხა, თუ სხვა საქონელი.

ხალხის ამ გვარს შეხედულობას ლინთურალზე შემდეგი შემთხვევებიც ამტკიცებენ. ვსთქვათ ხმა გავარდა, რომ ეს-და-ეს ქალ-ვაჟი შეყვარებულნი არიანო. ცხადია თუ ქალიშვილი გაუთხოვარია, ეს ხმა იმის დედ-მამისა და ნათესავების საწყენია და თუ ქმართან არის—ქმრისა. ერთად-ერთი წამალი, რომ ქალიშვილის დედ-მამის ან ქმრის გული დამშვიდდეს, ის არის, რომ საეჭვო ქალ-ვაჟმა ლინთურალი მოახდინონ. ეს სრულიად ულებს ჭორიკანობას ბოლოს. მეორე მაგალითი. ქალი და კაცი ნამდვილად შეყვარებულნი არიან, გაუმხილდათ, თავი დაანებეს ერთმანეთს, მაგრამ ხალხი, ქალის დედ-მამა და ქმარი მაინც ეჭვში არიან. ამ შემთხვევაშიაც ლინთურალია საჭირო.

აქ უნდა შევნიშნო, რომ შეყვარებულნი ძლიერ ხშირად ათავებენ სიყვარულს ლინთურალით. ამას ნდომულობს როგორც ქალი ისე კაცი, რომ ხორციელად წმინდათ იყვნენ ერთმანეთში და წარსულის მოგონება მოთხრობაში გაატარონ სასიამოვნოდ დროება. წინანდელ შეყვარებულ და შემდეგში „დანათესავებულ“ ქალ-ვაჟისაგან გარეშე მაყურებლებთან ხანდისხან გაიგონებ ხოლმე ამ ნაირ სიტყვებს:

— გახსოვს მანიჯო, ერთს ზამთრის ღამეს როგორ დამსაჯე,—ეუბნება თავის უწინდელს საყვარელ მანიჯოს:—ნავახშმევიდამ დაწყებული დილის რაჭრაჭამდე ატუზული ვიყავი შენის სახლის კედელთან. ყინვისაგან ძვლები მეტეხეოდა, შენის ქმრის შიშით ვთრთოდი და შენ-კი კარი არ გამიღე და არ მიმიღე, თუმცა ჩემი გაჭირება კარგად იცოდი. ყინვისაგან ფეხები დამწოდა და მთელი ზამთარი გავწვალდი, კარში ველარ გამოვდიოდი, ისე წამიხდა ფეხები...

— ის იმიტომ, მიუგებს მანიჯო: რომ იმ ხანებში შენ სხვა ქალზე გეჭირა თვალი და ჩემი მოტყუება გინდოდა. მერე ხომ ისწავლე ჭკუა...

ქალ-ვაჟი, რომელნიც ლინთურალით განათესავდნენ, სიკვდილამდე არ ივიწყებენ ერთმანეთს. ვაჟი დრო-გამოშვებით აძლევს სხვა-და-სხვა წვრილმან და სხვილმან საჩუქრებს, ფეშქაშებს. ამითივე უხდის ქალიც თავისს მხრით შეძლების გვარად. თუ ვაჟის სახლში რაიმე ლხინია, ეპატიჟება ყოველთვის და ისე ექცევა, როგორც პატივსაცემი ნათესავ სტუმარს. ამასვე სჩადის ქალიც, როდესაც მისას მაგ ნაირი შემთხვევა იქნება. ხშირად ქალი განგებ ინახავს არაყს, რომ ძეირობის დროს დაუძახოს თავის „ნათვირ“ ვაჟს და დაალევინოს და სხვა-და-სხვა. აქვე შევნიშნავ, რომ „ლინთურალს“ სხვა ნაირად კიდევ ეძახიან „ლიქრისდ“-ს (ქრისტობა) და „ლიკერძ-ლიარ“-ს. პირველს სიტყვას უფრო ხშირად ხმარობენ სადადიშქელიანო სვანეთში და მეორეს—ლიკერძ-ლიშარ (რაჭა-ლეჩხუმში კერძკაცობა) სადადიანო სვანეთში. „ლიქრისდ“-ი იქიდამ წარმოსდგა ალბად, რომ ლინთურალის დროს ერთ-ერთი ქალი ან ვაჟი მეორეს წაასცხებდა შუბლზე „მირონს“ (!), რომელსაც უწინ პაპებისაგან შოულობდნენ. ნამდვილი მირონი ბოლოს დროს პაპებს არა ჰქონდათ და მის მაგიერ ზეთს აძლევდენ მირონის მნიშვნელობით. ეს მირონ-ცხება თანდათან ისპობა, რადგან მოისპო პაპობა და ეხლანდელი მღვდლები მირონს არ იძლევიან, თუმცა მთხოვნელი სვანი ბევრია.

თავისუფალი სვანი

## წერილი რედაქციის მიმართ

გთხოვთ თქვენის გაზეთის საშუალებით გულითადი მადლობა გამოუცხადო ბ-ნთ ნ. ბ. ლოლობერიძესა და ს. ლეონიძეს, რომელთაც შემოსწირეს რწმუნებულ ჩემდამო სკოლის სასარგებლოდ—პირველმა ათი მანეთი ფული და მეორემ სურათები თვალ-საჩინო სწავლისათვის.

წინამძღვრიანთ-კარის სამეურნეო სკოლის მმართველი
ერ. ნაკაშიძე

# უცხოეთი

**საფრანგეთი.** ბულანჟეს დასს გაუკრავს პარიჟის კედლებზე და დაურიგებია აქეთ-იქით ამ საარჩევანო ციებ ცხელების დროს ნახევარ მილიონი აფიშა, ნახევარ-მილიონი პატარა წიგნი, მილიონ ნახევარი საარჩევნო წერილი, მილიონი სადარბაზო ბარათი და სამი მილიონი საპოლიტიკო პროგრამა.

— ჯერ-ჯერობით კიდევ ისმის ხმა, რომ ფლოკეს უნდა სამსახურიდან გადადგესო.

— მთავრობა და მთავრობის წარმომადგენელნი და აგრეთვე ზოგიერთნი მეთაურნი რესპუბლიკის დასისანი ორ-ნაირს აზრს ადგანან დღევანდელის საქმეების გამო. ერთი აზრი ის არის, რომ დეე მივანებოთ თავი და შევაძლებინოთ ბულანჟეს მომხრეებს ჩაიგდონ ხელში გამგეობა ქვეყნისაო. სულ ერთია, ბოლოს ხომ გაიგებენ, რაცა ბრძანდება ან მაგ დასის მეთაური, ან რანი ბრძანდებიან თვით ისინი, ვინც ეხლა ამდენს რასმე ჰპირდებიან ერსაო. მეორენი-კი ამბობენ: არა, ჩვენ არ უნდა დავთმოთ გამგეობა, ერს ტყუილა-უბრალოდ არ უნდა გამოვაცდევინოთ გაჭირება, რომელიც აუცილებელი იქნება, როცა მიხვდება რომ ბულანჟე და მისი მომხრენი მხოლოდ ტყუილს აღთქმას იძლევიან და შესრულებით-კი ვერას შეასრულებენო. ის ემჯობინება, ჩვენ სასტიკი ღონისძიებანი მივიღოთ, აველაგმოთ ბულანჟეს მომხრეთა თავგასულობა და ქვეყანასაც ავაცილოთ თავიდამ ბულანჟეობის გაბატონების სამწუხარო შედეგიო.

**ავსტრი-ვენგრია.** კიდევ ახალ სამხედრო კანონ-პროექტის გამოა ალიაქოთი ვენგრიაში. ერი ვენგრიისა მეტის-მეტად აღელვებულია ამ პროექტის გამო. მუდამ დილით სეიმის შენობის კარ-მიდამო გაჭედილია ხალხით, რომელიც ათი-ათასობით იკრიბება აქ და აცხადებს, რომ არ გვინდა ეგ ახალი კანონ-პროექტიო. როცა სეიმიდამ გამოვიდნენ მთავარ-მინისტრი ტისსა და მინისტრი ფეიერვარი, ხალხმა დაიწყო ყვირილი: არ გვინდიხართ, გადაღექით სამსახურიდამაო! მთავრობის მოწინააღმდეგე დეპუტატებს-კი, მეტადრე გრაფს აპონიის, დიდის ტაშის-კვრით მიეგებნენ და უყვიროდნენ: იცოცხლეთ, იცოცხლეთო! ამასთანავე ამოდენა ხროვა ხალხისა მღეროდა კოშუტის საგალობელს. ჟანდარმები და პოლიცია დიდად სცდილობდა შეეკავებინა ხალხი, მაგრამ ვერ ახერხებდა. სტუდენტები აჭირებდნენ საქმეს. ბოლოს სტუდენტები დამშვიდნენ, დაიწყეს მღერა საეროვნო სიმღერებისა და გასწიეს უნივერსიტეტისაკენ. თვით პალატის დერეფნებსა და ტალანებში აუარებელი ხალხი იყო და ეწინააღმდეგებოდა კანონ-პროექტს. დეპუტატმა კიმალონიმ მიჰმართა პალატის თავმჯდომარეს და მეტის-მეტის სიანჩხლით ჰკითხა, რად არიან აქ ამ ჟამად საიდუმლო პოლიციის წარმომადგენელნიო. დეპუტატმა უგრონმა დაიწყო ლაპარაკი კანონ-პროექტის წინააღმდეგ. ხალხი გაცხარებით უკრავდა ტაშს უგრონს და იძახოდა: არ გვინდა ტისსაო! წესიერება მხოლოდ მაშინ ჩამოვარდა, როცა პალატის თავ-მჯდომარემ მუქარა დაიწყო: ეხლავე გავაყვანინებ აქედამ ყველას, ვინც დეპუტატი არ არისო.

როცა ბოლოს მაინც 267 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 141 გადასწყდა, რომ შევუდგეთ მუხლ მუხლობით კანონ-პროექტის განხილვასაო, მთავრობის მოწინააღმდეგეთ დაიწყეს ყვირილი: სირცხვილია ასეთი კენჭის ყრა, თავზედ ლაფის დასხმაა ჩვენიო!

ამასობაში კვლავ გაისმა კარ-მიდამო სეიმისა ხალხითა, რომელიც ყვიროდა: არ გვინდანან მოღალატე დეპუტატებიო! მოგვშორდნენ თავიდამ მემარჯვენე დასის მომხრენიო! ხალხი იქამდე გამძვინვარებული იყო, რომ მუშტებს უღერებდნენ მთავრობის მომხრეებს. მოწინააღმდეგეთა დასის წევრთ-კი სიხარულით ეგებებოდნენ. ერთს მათგანს, დეპუტატს მაღრაშს, სტუდენტები სულ ხელით ატარებდნენ. ბევრნი ამ დროს ჰყვიროდნენ: ტისა სადღაა? ეშინიან განა და იმიტომ არ გვეჩვენება თვალითაო? ბოლოს გამოიარა ტისამაც ეტლით, რომელსაც სამი პოლიციელი ერტყა გარშემო. სტუდენტები მისცვივდნენ და დაუწყეს ჯოხებით ცემა ტისას ცხენებს. პოლიცია მიეშველა მთავარ-მინისტრს. ბრბო ხალხისა უფრო მიეჯარა ეტლს. ვიდრე უგრონმა არ დაარწმუნა ხალხი და, მეტადრე სტუდენტები, დაიშალეთო, პოლიციამა და ჟანდარმებმა ვერა გააწყეს-რა.

სტუდენტები ეუბნებოდნენ პოლიციელებს: თქვენ თავი დაგვანებეთ, ჩვენ თქვენ არას გერჩით. თქვენ და ჩვენ მეგობრები ვიყვნეთო. ტისას-კი უყვიროდნენ: ჩამოგვეხსენ, მოგვშორდი, დაგვეკარგეო!

# წვრილი ამბები

პეტერბურგში ამ იანვრის თხუთმეტს წარმოდგენა ჰქონიათ ყრუ-მუნჯთა მზრუნველ საზოგადოების სასარგებლოდ. წარმოდგენაში არტისტებად ყოფილან ყრუ-მუნჯნივე და დამსწრეთა უმეტესი ნაწილიც, რაღა თქმა უნდა, ყრუ-მუნჯნი იქნებოდნენ.

წარმოადგინეთ რამდენიმე ოთახი, თავმოყრილ საზოგადოებით სავსე. გარშემო გაცხოველებული ლაპარაკი და მითქმა-მოთქმაა, ბაასი დღესასწაულობის შესახებ, წარმოდგენის თაობაზედ, და არავინ-კი ხმას არ იღებს. [illegible] სრულის მდუმარებით სწარმოებს. ყველანი ყრუ-მუნჯნი არიან. გარედგან რომ შეჰხედოთ, ცოცხალი ადამიანებიც არ გეგონებათ, მაგრამ დააცქერდით თვალთა ელვარებას, ხელების მოძრაობას და დარწმუნდებით, რომ ეს ხალხი ჰფიქრობს, აზროვნობს, ერთმანეთს გადასცემს თავისს სურვილსაო.

ამ ოთახშივე გამართულია პაწია და ლამაზი სცენა, რომელსაც წითელი ფარდა ახურავს და რომლის წინაც გამწკრივებულია სავარძლები და სკამები. აგერ ფარდა აიხადა და წარმოდგენა დაიწყო. პირველში წარმოადგინეს ერთ-მოქმედებიანი ხუმრობა-ვოდევილი „ვერ მოასწრო“, თხზ. ბ-ნის ნეფელდისა, ყრუ-მუნჯის დურგლისა. ეს ვოდევილი მშვენივრად წარმოადგინეს. შემდეგ წარმოადგინეს მეორე პიესა „კასსა გირაოზისა“, თხზ. ბ-ნის ონკელმისა, ყრუ-მუნჯისავე ხელოსნისა. ორმა ძმა ურია ჰქმართავს კასსას და ბედნიერნიც არიან, რადგან დიდს მოგებას მოელიან. ამ დროს შედის მოხუცი დედაკაცი და ყაჯადანი შეაქვს; ყაჯადანს არ იგირავებენ და ბებერს უკანვე აბრუნებენ. აგერ ქსლა ნასვამი ჯიბის ოსტატი შედის და მოპარული ქუდი შეაქვს. ამ კაცს ერთს მანეთს აძლევენ. შემოდის ახლა მეჯინიბე და წაღები შეაქვს დასაგირავებლად,—ერთის სიტყვით, დუქანს მუშტარი არ აკლია. ხოლო ამ ორ ძმასთან სცხოვრებს იმათი ნათესავი, ლამაზი ებრაელის ქალი. ძმებს ჩხუბი მოსდით და თავისი „კასსა“ თითონვე ავიწყდებათ ამ ქალის ცქერაში.

მოთამაშეთა შორის თავი იჩინეს თურმე ბ-ნმა ონკელმა და ნეიფელდმა და აგრეთვე ქ-ნთ რეინბახმა და ნიკოლინისამ. ისე მშვენივრად ლაპარაკობენ ეს ყრუ-მუნჯნი ხელებით, რომ თვით გამოჩენილ არტისტთაც შეშურდებათ თურმე ამათი მიმიკა. ამ ყრუ-მუნჯთა მიერ შეთხზულ პიესას საშუალო ადგილი უჭირავს პანტომიმასა და დრამატიულს ნაწარმოებს შორის. იქ მყოფ ყრუ-მუნჯთათვის, რაღა თქმა უნდა, ყველა ეს გასაგები იყო, უბრალოთ თითის ქნევაც-კი. არა-ყრუ-მუნჯთაგანსაც ბევრს ესმოდა ხელებით ლაპარაკი არტისტებისა, ისე მშვენივრად და გარკვევით გადასცემდნენ საზოგადოებას შინაარსს პიესისას.

წარმოდგენის მოქმედებათა შუა «ცხოველი სურათები» იქმნა დადგმული. შემდეგ ცეკვა ჰქონდათ და ბევრიცა სცეკვავდა. ყრუ-მუნჯთ ერთმანეთში დიდი ბაასი ჰქონდათ. თუ არა-ყრუ-მუნჯთ ლაპარაკის კილოზე შეეტყობათ ხასიათი, ყრუ-მუნჯს ხელების ქნევაზე, მიმიკაზე ეტყობა. ქალები ნაზად იქნევენ ხელებს, მეორენი მარტო ერთს თითს ათამაშებენ, მესამენი ორივე ხელს ამოძრავებენ.

ამ ყრუ-მუნჯთა შორის კაცს აოცებს სიცილი ამ ენა და სმენა მოკლებულ ადამიანებისა. ამათი სიცილი მშრალია და გულს უგმირავს კაცს იმისი მოსმენა. პირველში ამ სიცილის გამგონი არ დაიჯერებს, რომ სიცილი იგი ადამიანისა უნდა იყოსო.

— 1888 წლის განმავლობაში ნიუიორკის ნავთ-სადგურზე მისულა სულ 370,822 ევროპელი; ამათში 33,032 კაცი რუსეთიდგან იყო თურმე.

— ტყუილი ამოდგარა ის ამბავი, რომ ბელგიის დედოფალმა ქალებისთვის უნდა გამოსცეს ჟურნალი „La jenne fille“-ო. ტყუილაა თურმე ის ამბავიც, ვითომ გიოტეს სწამებდნენ, რომ ფაუსტი ლესსინგს მოჰპარაო.

— აბირებული ხალხი სცხოვრებს თურმე სიამში. სიამელები ჰსჯიან თავიანთ პოლიციელებს და მერე როგორ, საჯაროდ, საქვეყნოდ. მაგალითებრ, ამას წინად პოლიციის კარებ წინ დაუნახავსთ ხელებ ზურგზე მიკრული პოლიციელი. ამ კაცს ზურგზე მიკრული ჰქონდა თურმე პაწია ფიცარი შემდეგის ზედ-წარწერით: „მე გუდდი მქვიან და სინას ხელ-ქვეითი ვარ. გუშინ საღამოს დაშნა მოვიპარე მისის უდიდებულესობის მეფისა და იქვე ხელი წავავლეს. დღეს ვინანიებ ამ დანაშაულს. ინსპექტორი გაჯავრებულია ჩემზე და ამბობს, რომ დიდის დასჯის ღირსი ხარო, მით უმეტეს, რომ პოლიციელმა ჩაიდინა აგრეთი საქციელიო. ვთხოვ გამვლელ-გამომვლელთ შემომხედონ სახეზედ და პირდაპირ გამოსთქვან, ღირსი ვარ მართლა სასჯელისა, თუ არა. მე-კი რომ მკითხოთ, ჩემი დანაშაული იმდენიც არა არის-რა, რადგან ჩვენში ყველანი ჩემსავით იქცევიან“.

— ბულანჟეს პარიჟის დეპუტატად არჩევანის წინა დღეებში პარიჟის კედლები აჭრელებული ყოფილა თურმე საარჩევანო განცხადებებით. მარტო ბულანჟელებს

მილიონ ნახევარი განცხადება გაუგზავნით და ამისათვის 60,000 მანათი დაუხარჯავსთ. ამ მხრივ რესპუბლიკელთა დასის კანდიდატი ჟაკი უკან ჩამორჩენია ბულანჟეს; ეს საქმე სულ 25,000 მან დაუჯდომია: მხოლოდ 600,000 განცხადება დაუბეჭდვინებია. თუ ჩავთვალეთ საარჩევანო მანიფესტები ბულესი, სადისი, პოლკოვნიკის ლისბონისა და პოტის სერაზენისა, მაშინ გამოვა 18 დღის განმავლობაში 2.250,000 განცხადება. დღეში—125,000 გაუგზავნით. მარტო განცხადებათა გამკვრელებმა 12,500 მანეთი ფული აიღეს თურმე.

# დეპეშა

23 იანვარი

პეტერბურგი. დღეს დასრულდა ზვეზდოჩეტოვის საქმე და განაჩენიც დასდვეს: ზვეზდოჩეტოვის და არაფრინაფიცთა მსაჯულთა გაამართლეს. გირაოვნობის ბარათი ყალბად უცვნიათ. ზვეზდოჩეტოვს დაბრალდა პოლიანსკის ქონების გაფლანგვა. ამიტომ მას დაუნიშნეს არხანგელსკის გუბერნიაში გაგზავნა.

Новое Время იუწყება, რომ მორიერი, რომელიც ინგლისის ელჩად არის რუსეთში, მიდის პეტერბურგიდგანაო.

ვენა. როგორც ისმის, პრინცი უელისა, მეგობარი განსვენებულის რუდოლფისა, დაესწრება დასაფლავებაზე, ვითარცა კერძო კაცი.

ამბობენ, რომ პრინცესა სტეფანია თავისს მშობლებს წაჰყვება ბრიუსელს და იქ დიდხანს დარჩებაო.

მემკვიდრე პრინცის დასაფლავების შემდეგ სამეფო სახლეულობა გადავა საცხოვრებლად პეშტში.

განსვენებულის პრინცის კამერდინერი კოშეკი მწუხარებისა და მღელვარებისაგან ძლიერ ავად გამხდარა.

აქაურს უმაღლესს წრეებში არა იციან-რა იმის შესახებ, უარი სთქვა თუ არა ერცჰერცოგმა კარლოს-ლიუდვიგმა მემკვიდრეობაზედ.

პარიჟი. ბევრს ლაპარაკობენ იმის შესახებ, რომ ზოგი მინისტრი სამსახურიდგან უნდა გადადგესო. მეტად საეჭვო არის მინისტრების ფერულიასი და პეტრალის საქმეო.

ვენა. ვინ იქნება ავსტრიის ტახტის მემკვიდრე, ამაზე ჯერ ლაპარაკიც არ არის, რადგანაც რამდენიმე ხანი უნდა მოიცადონ, ვიდრე შეიტყობენ, რომ შვილი ხომ არ დარჩება განსვენებულს.

პრინცესა სტეფანია დიდხანს დაჰყოფს ავსტრიის გარეშე. პრინცესა თავის ოთახიდგან არ გამოდის.

დღეს ხალხი შეუშვეს იმ ეკკლესიაში, სადაც მემკვიდრე პრინცია დასვენებული. ხალხი დიდ-ძალი მოაწყდა. ქალებს გული მისდით და რამდენიმე კიდეც მოკვდა სივიწროისაგან.

პარიჟი. სენის სასამართლომ გადასწყვიტა პანამის საზოგადოება გააუქმოს და ამ საქმის შესასრულებლად ბრიუკე დანიშნა.

24 იანვარი

ვენა. დაწერილებით შედგენილი ოქმი. მემკვიდრე პრინცის რუდოლფის გვამის გაჭრისა არ იქმნება გამოქვეყნებული. ამ ოქმს სამეფო კარის არხივში გადასცემენ დასაცველადაო.

პეტერბურგის ბირჟა, 20 იანვარი.

| | მყიდველნი. | | გამყიდველნი. | | გაყიდულნი. | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | მან. | კ. | მან. | კ. | მან. | კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | — | „ | — | „ | 7 | 55 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — | „ | — | „ | 151¼ | |
| მანათიანი ვერცხლის ფული . . . . | — | „ | — | „ | 1 | 14 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . | — | „ | — | „ | 265⅓ | |
| —მეორისა . . . . . | — | „ | — | „ | 248¼ | |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — | „ | — | „ | — | „ |
| ქუთაისის ბანკისა . . . | — | „ | — | „ | — | „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . . | — | „ | — | „ | — | „ |

## საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩუჰთ (1889) წელიწადი. ქვეყნის შექმნიდამ 7397.

ძველი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქორონიკონი—უპა=481 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი მე=45 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1889 წლის ზედ-ნადებია—6.

იანვარი 31 დღით არის.

25 დღე ოთხშაბათი. წმ. მამისა გრიგოლ კონსტანტინეპოლელ მთავარ-ეპისკოპოსისა და ღვთის-მეტყველისა. კათ. პავლესი. სომეხ. მარხვაა. მაჰმად. მე-6 რიცხვი თთვისა ჯემად-ულ-ახირისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—14. ტფილისში მზე ამოდის 7—8, ჩადის 5—21. მთვარე 7 დღისაა.

26 დღე ხუთშაბათი. ღირ. ქსენოფონტისა. ხსენება წმიდისა კეთილ-მსახურისა დავით მესამისა მეფისა ყოვლისა საქართველოისა და აფხაზეთისა, ზედ წოდებით აღმაშენებლისა, 1089—1155 წწ. კათოლ. ეპ. პოლიკარპისა. სომეხ. წმ. ევგენიასი და სხ. მაჰმად. მე-7 რიცხვი თთვისა ჯემად-ულ-ახირისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—14. ტფილისში მზე ამოდის 7—7, ჩადის 5—23. მთვარე 8 დღისაა.

27 დღე პარასკევი. აღმოყვანება ნაწილთა წმ. მამისა ჩვენისა იოანე ოქროპირისა. სომეხ. მარხვაა. მაჰმად. მე-8 რიცხვი თთვისა ჯემად-ულ-ახირისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—14. ტფილისში მზე ამოდის 7—6, ჩადის 5—24. მთვარე 9 დღისაა.

28 დღე შაბათი. წმ. მამისა ეფრემ ასურისა. კათოლ. ეპ. კირილესი. სომეხ. წმ. გრიგოლ ღვთის-მეტყველისა. მაჰმად. მე-9 რიცხვი თთვისა ჯემად-ულ-ახირისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—14. ტფილისში მზე ამოდის 7—4, ჩადის 5—25. მთვარე 10 დღისაა.

29 დღე კვირა. აღმოყვანება ნაწილთა წმ. მღვდელ-მოწამის ეგნატე ღმერთ-შემოსილისა. კათოლ. ფრანცისკასი. სომეხ. ალების-ლამე არაჯავარაცის მარხვისა. მაჰმად. მე-10 რიცხვი თთვისა ჯემად-ულ-ახირისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—14. ტფილისში მზე ამოდის 7—3, ჩადის 5—26. მთვარე 11 დღისაა.

30 დღე ორშაბათი. სამთა წმიდათა ვასილი დიდისა, გრიგოლ ღვთის-მეტყველისა და იოანე ოქროპირისა. კათოლ. ქალწ. მარტინასი. სომეხ. დაწყება არაჯავარაცის მარხვისა. მაჰმად. მე-11 რიცხვი თთვისა ჯემად-ულ-ახირისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—14. ტფილისში მზე ამოდის 7—3, ჩადის 5—27. მთვარე 12 დღისაა.

## გამოსადეგი ცნობანი

ნირხი

16 იანვრიდამ 1 თებერვლამდე.

| | | |
|---|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. | . 5 | კაპ. |
| პური 1-ის ხარისხისა. | . 3½ | » |
| „ 2 „ | 3 | „ |
| თონის წითელი პური 1-ის ხარის. | 5 | „ |
| „ „ 2— | 4 | „ |
| „ „ 3 „ | 3½ | „ |

ჯვარის მამის პურის ღავაში

| | | |
|---|---|---|
| 1-ლის ხარისხისა . . | 5 | „ |
| მე-2 ხარისხისა . . | 4 | „ |
| მე-3 — . . . | | „ |
| ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 9 | „ |
| „ 2 „ | 8 | „ |
| სუკი . . . . | 16 | „ |
| ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 10 | „ |
| ღორის ხორცი . . . | 9 | „ |
| „ 2 „ | 8 | „ |

## მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარგარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულკავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდამ გადაწყვეტილს ვადაზე გემები.

# განცხადებანი


საპონი

პროვიზორის

ა. მ. ოსტროუმოვისა

თმის ჩამოსვლისა და თმოს ასაცილებლად.

სიყალბის ასაშორებლად, ნამდვილი საპონი ითხოვეთ, ისეთი, რომელსაც იარლიკზე უძევს მთავრობის მიერ დამტკიცებული მარკა

№ 3374.

ისყიდება თითო 30 კაპ. დიდი ნაჭერი ჰქონს 50 კაპ. იშოვება აფთიაქებსა და საათფთიაქო და საპარფიუმერო მაღაზიებში. საწყობი იმყოფება მოსკოვს, პოკროვკას, მაშკოვის შესახვევში, მერკულოვის სახლებში. (10—1)

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების

წიგნთ-საწყობში

(Дворцовая ул., Караванъ Сарай Земельн. Банка, № 109, 110)

ისყიდება ყოველ გვარი წიგნები, რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულს ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შეძენილი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ქართული გრამატიკა, შედ- | | |
| საქართველოს კალენდარი, გუნიასი . . . . . . | „ | 45 |
| კრებული არითმეტიკულ ამოცანებისა, რ. ჯავჯავანაშვილისა . | „ | 40 |
| ანბანი კანვაზე საკერი, გ. ტატიშვილისა . . . . . . | „ | 20 |
| დავით ასლანიშვილი-ჯანდიერი, ა. ფურცელაძისა . . . | „ | 10 |
| დარიგება, თუ როგორ უნდა მოუარონ დედებმა ძუძუ-მწოვარ ყმაწვილსა, გადმოკეთებული ივ. გაციტაძის მიერ . | „ | 5 |
| სურათები გლეხ-კაცის ცხოვრებიდამ ეგ. გაბაშვილისა . . | „ | 10 |
| სამი კომედია, ა. ცაგარლისა . | „ | 60 |
| თამარ-ცბიერი, ისტორიული ოთხ-მოქმედებიანი დრამატიული პოემა . . . . | „ | 50 |
| ბუნების კარი, შედგენილი ი. გოგებაშვილისა . . . . . | „ | 75 |
| დედა-ენა, მისივე, . . . . . | „ | 30 |
| თამარიანი, გალექსილი ბუბუნავასი . . . . . . . . | „ | 50 |
| დედაკაცის ხვედრი ნამბობი გლეხ-კაცის ქალისა, თარგმანი ი. რამიშვილის მიერ . | „ | 15 |
| გენილი არ. ქუთათელაძესაგან . . . . . . . . | ,, | 40 |
| გენათის მონასტერი, გამოც. ღამბაშიძისა . . . . . | „ | 25 |

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ივერია“

1889 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

ფასი:

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 12 თთვით . . | 10 მ.—კ | 6 თთვით . . . | 6 მ.—კ. |
| 11 „ . . . | 9 „ 50 „ | 5 » . . . . | 5 „ 25 „ |
| 10 „ . . . | 8 „ 75 „ | 4 » . . . . | 4 „ 75 „ |
| 9 „ . . . | 8 „ — „ | 3 » . . . . | 3 „ 50 „ |
| 8 „ . . . | 7 „ 25 „ | 2 » . . . . | 2 „ 75 „ |
| 7 „ . . . | 6 „ 50 „ | 1 » . . . . | 1 „ 50 „ |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდამ გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზედ, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ანუ საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ დღე, კვირა-უქმების გარდა, პირველ საათიდამ სამს საათამდე და საღამოობით 7-დამ 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: ფრეილინის ქუჩა, სახლი ბასტამოვისა, № 5.

გამოვიდა და ისყიდება

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნთ-საცავში




ეს წიგნი შეიცავს 600 გვერდს, კარგად მოზრდილია და შიგ მრავალ გვარი ცნობებია მოქცეული. წიგნი დაყოფილია თორმეტ განყოფილებად და ყველა განყოფილების დასაწყისში დაწერილებით მოხსენებულია განყოფილების შინაარსი და სარჩევი.

წიგნი ისყიდება ქუთაისსა და ფოთში, ბათუმსა და გორში, თელავსა და სიღნაღში, ხონსა და ოზურგეთში და სხვა ადგილებშიაც.

ფასი ცხრა შაური.

(10—7)


Доз. ценз. Тифлисъ 24-го Января 1889 года. სტამბა ე. გ. მესხისა, (Типографія Е. Г. Месхи). на Фрейлинской ул. пом. Т. Д. З. Банка. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე